ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01181441874**

თარიღი: **24.05.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი
გრიგოლი გვენეტაძე
პირადი ნომერი: 41001002996
მისამართი: ქუთაისი გრ.გველესიანის I შეს. N 6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 29 მარტის №AR1589516 განცხადება, რომელიც ეხება მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.010.032) მიწის ნაკვეთზე განაშენიანები ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის.

პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)–ში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; სზ-6 — განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური)შეთანხმებით დაშვებული სახეობები; ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის 14-39 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის შესაბამისად, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტებისათვის გაიცემა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად „სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოთხოვნას ნებართვის მაძიებელმა უნდა დაურთოს შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი კვლევა ამ წესების მე-19 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების ანალოგიით (იხ. დანართი) და შეთანხმების გაცემის მიზანშეწონილობის დასაბუთება, საჯარო და კერძო ინტერესების ჩვენებით. ასევე წარმოსადგენია შენობა-ნაგებობის განთავსების სქემა, ესკიზი, შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. მესაკუთრის თანხმობა. ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება ვალდებულება მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით, შეზღუდვის მოსახსნელად უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოხსნათ აღნიშნული შეზღუდვა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2018 წლის 29 მარტის №AR1589516 განცხადება დარჩება განუხილველი.

ურბანული განვითარების საქალაქო
სამსახური - პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო

რუსუდან მირზიკაშვილი

სამსახურის უფროსი)

